ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N32

CPV: 79200000 - საბუღალტრო,აუდიტორული და ფისკალური მომსახურება

ქ. ქუთაისი 24 აგვისტო 2018წ.

ერთის მხრივ სსიპ ქალაქ ზესტაფონის N2 საჯარო სკოლა (შემდგომში _ შემსყიდველი), დირექტორის გოჩა ღონღაძის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „ორისაუდიტი“ (შემდგომში "მიმწოდებელი") მისი ხელმძღვანელის მურმან კობახიძის სახით ვხელმძღვანელობთ რა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1] ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1.1 მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.

1.2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:

ა) წინამდებარე ხელშეკრულება;

ბ) მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა;

1.3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

1.4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

1.5. ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

1.6. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 კალენდარულ დღეში, 2018 წლის 28 აგვისტოს ჩათვლით;

1.7 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია 2018 წლის 24 აგვისტოდან 2018 წლის 28 სექტემბრის ჩათვლით.

2. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

2.1 ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში სსიპ ქალაქ ზესტაფონის N2 საჯარო სკოლის საიჯარო ფართის აუდიტორული დასკვნის სახელმწიფო შესყიდვა, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2.2. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრა ლარებში.

2.3. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა 70 (სამოცდაათი) ლარი, ყველა გადასახადის ჩათვლით.

3. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

3.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

3.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

3.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა ''სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის'' მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. შემსყიდველი ინსპექტირების ჯგუფის მეშვეობით ახდენს გაწეული მომსახურების ინსპექტირებას. ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განხორციელებაზე, მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე შემსყიდველის უფლებამოსილი პირი არის გოჩა ღონღაძე.

4.2. მიმწოდებლის მიერ გასაწევ, ან უკვე გაწეულ მომსახურებაზე კონტროლი (ინსპექტირება) ხორციელდება სისტემატიურად შემსყიდველის შეხედულებისამებრ.

4.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4.4. შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად აწარმოებს კონტროლს მომსახურების მიმდინარეობაზე, თანახმად საქართველოში მოქმედი ყველა სამშენებლო ნორმების, სტანდარტების და წესებისა, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს გააჩნია უფლება შეაჩეროს მომსახურების გაწევა და განახორციელოს კანონით გათვალისწინებული სანქციები.

4.5. მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურების გაწევის დროს გამოიყენოს მხოლოდ ის მასალები, რომელთა ხარისხი შეესაბამება საქართველოში და საერთაშორისო მოქმედ სტანდარტებსა და ნორმებს, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია გამოიყენოს მიმწოდებლის მიმართ პასუხისმგებლობის ღონისძიებები.

5. მომსახურების გაწევის პირობები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია გაწიოს მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო ნორმების, სტანდარტებისა და წესების მოთხოვნების დაცვით.

5.2. მხარეები პერიოდულად განიხილავენ გრაფიკის შესრულების მიმდინარეობის საკითხებს და დასაბუთებული მიზეზის შემთხვევაში შეაქვთ გრაფიკში სათანადო ცვლილებები.

5.3. თუ მიმწოდებელი გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში დაუსაბუთებლად, (შემსყიდველის გაფრთხილების მიუხედავად) ვერ ასრულებს მომსახურებას, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება, რა შემთხვევაშიც მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაჯარიმდება ხელშეკრულების საერთო თანხის 10%-ის ოდენობით.

5.4. შემსყიდველი ვალდებულია აანაზღაუროს გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და პირობებით.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად, მხოლოდ მიღება ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება მიეცეს შემსყიდველის უფლებამოსილ წარმომადგენელს.

6.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების ნაწილის (ეტაპის) და წუნდების მიზეზის მითითებით.

6.4. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

7. გარანტია

7.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურება შეესაბამება საქართველოში მოქმედ სტანდარტებს.

7.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა და სათანადო კორექტირების შეტანა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში.

8. ანგარიშსწორება

8.1. მიმწოდებელი ანგარიშსწორებისას ვალდებულია წარმოადგინოს, გაწეული მომსახურების ჯამური (დამატებითი ღირებულების გათვალისწინებით) ღირებულება.

8.2. მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშ-ფაქტურაზე მიუთითოს ხელშეკრულების ნომერი. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ანგარიშ-ფაქტურა.

8.3. შემსყიდველი საბოლოო ანგარიშსწორებას განახორციელებს მიღება-ჩაბარების დოკუმენტაციის გაფორმების (მიღება-ჩაბარების აქტის და დამატებითი ღირებულების ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

8.4. თუ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ღირებულებამ არ შეადგინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი გადაუხდის მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულებას.

9. ფასები

9.1. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შემცირება დასაშვებია თუ: გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული მომსახურება არ არის შესრულებული სრული მოცულობით.

9.2. ფასის გაზრდა შესაძლებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში. ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

10.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია არ გამოიყენება;

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

11.2. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობების ამ მუხლში.

11.3. თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ფარგლებში ვერ შეასრულებს ნაკისრი ვალდებულებებს, შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააჯარიმოს ხელშეკრულების საერთო თანხის 10%-ის ოდენობით ან

ბ) განუსაზღვროს მომსახურების გაწევის დასრულებისათვის დამატებითი ვადა არაუმეტეს 10 (ათი) დღისა, რა ვადაშიც მიმწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის, პირგასამტეხლოს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

11.4. თუ შემსყიდველი დარწმუნდება, რომ შეუძლებელია მომსახურების დასრულება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების ამოწურვამდე, იგი უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადაზე ადრე, შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელი დააჯარიმოს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს ოდენობით.

11.5. თუ კი მიმწოდებელი 11.3. „ბ" პუნქტით გათვალისწინებულ დამატებით ვადაშიც ვერ განახორციელებს მომსახურების სრულად დამთავრებას, შემსყიდველი წყვეტს წინამდებარე ხელშეკრულებას და მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაჯარიმდება ხელშეკრულების საერთო თანხის 10%-ის ოდენობით.

11.6 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.7 ამ მუხლის 11.6 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

11.8. თუ კი შემსყიდველი ხელშეკრულების 8.3 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში, ამავე მუხლით მითითებულ ვადაში, ვერ უზრუნველყოფს ანგარიშსწორებას, მიმწიდებელი უფლებამოსილია წერილობით მიმართოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის გემა-გრაფიკის გადახედვის თაობაზე.

12. სადავო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

13. გამოყენებული სამართალი

13.1. ხელშეკრულება დადებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

14. ხელშეკრულების ენა

14.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ ქალაქ ზესტაფონის N2 საჯარო სკოლა ქ. ზესტაფონი. წერეთლის ქ. N4 ს/კ-230058898	შ.პ.ს."ორისაუდიტი" ქ. ქუთაისი. წერეთლის ქ. N12 ს/კ 412692171
„საქართველოს ბანკი"BAGAGE22	„თიბისი ბანკი" TBCBGE22
ანგ:GE32BG0000000151279300 ტელ:577 319309	ანგ:GE21TB7985636080100003 ტელ: 597 602 100
დირექტორი: გოჩა ღონღაძე	დირექტორი: მურმან კობახიძე
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)

აქტი

მომსახურების მიღება–ჩაბარებაზე

ქ. ქუთაისი 29.08. 2018წ.

წინამდებარე აქტი შევადგინეთ, ერთის მხრივ სსიპ ქალაქ ზესტაფონის N2 საჯარო სკოლამ, მისი დირექტორის გოჩა ღონღაძის სახით, შემდგომში „შემსყიდველი“ და მეორე მხრივ შპს „ორისაუდიტი“ შემდგომში „მიმწოდებელი“ მისი ხელმძღვანელის მურმან კობახიძის სახით, მასზედ, რომ „მიმწოდებელმა“ „შემსყიდველს“ გაუწია 70 ლარის ღირებულების მომსახურება (საიჯარო ფართზე აუდიტორული დასკვნის მომზადება)

შემსყიდველი:

სსიპ ქალაქ ზესტაფონის N2 საჯარო სკოლა
ქ. ზესტაფონი. წერეთლის ქ. N4
ს/კ-230058898

სკოლის დირექტორი: გოჩა ღონღაძე

(ხელმოწერა)

მიმწოდებელი:

შ.პ.ს.“ორისაუდიტი“
ქ. ქუთაისი. წერეთლის ქ. N12
ს/კ 412692171

დირექტორი: მურმან კობახიძე

(ხელმოწერა)

საგადახდო დავალება No 1851

Transfer Order No 1851

ვალუტირების თარიღი/Value Date: 05/09/2018 რეფერენსი/reference: 7001952755

იგრძენი მომავალი — საქართველოს ბანკი CORPORATE

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator: სსიპ ქალაქ ზესტაფონის #2 საჯარო სკოლა

ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit): GE32BG0000000151279300GEL

თანხა/Amount: 70.00 GEL

გადამხდელის ბანკი/Originator Bank: სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი/Bank Code: BAGAGE22

თანხა სიტყვებით/Amount in words: სამოცდაათი ლარი 00 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name: სსიპ ქალაქ ზესტაფონის #2 საჯარო სკოლა

საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer: 230058898

მიმღების დასახელება/Recipient: შ.პ.ს. "ორისაუდიტი"

ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code: GE21TB7985636080100003

ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank:

მიმღების ბანკი/Recipient Bank: სს "თიბისი ბანკი"

ბანკის კოდი/Bank Code: TBCBGE22

გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank: 05/09/2018

გადახდის დანიშნულება/Description: აუდიტორული დასკვნის მომზადების

ხელმოწერა/Signature:

დამატებითი ინფორმაცია/Additional Info: Information

შტამპი: "ს.ს. საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA" დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან PRINTED FROM INTERNET BANK

ხელმძღვანელის ხელმოწერა/Director Signature: ბეჭედი:

მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:

ვალუტირების თარიღი/Value Date:

საგადახდო დავალება No 1851

Transfer Order No 1851

ვალუტირების თარიღი/Value Date: 05/09/2018 რეფერენსი/reference: 7001952755

იგრძენი მომავალი — საქართველოს ბანკი CORPORATE

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator: სსიპ ქალაქ ზესტაფონის #2 საჯარო სკოლა

ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit): GE32BG0000000151279300GEL

თანხა/Amount: 70.00 GEL

გადამხდელის ბანკი/Originator Bank: სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი/Bank Code: BAGAGE22

თანხა სიტყვებით/Amount in words: სამოცდაათი ლარი 00 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name: სსიპ ქალაქ ზესტაფონის #2 საჯარო სკოლა

საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer: 230058898

მიმღების დასახელება/Recipient: შ.პ.ს. "ორისაუდიტი"

ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code: GE21TB7985636080100003

ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank:

მიმღების ბანკი/Recipient Bank: სს "თიბისი ბანკი"

ბანკის კოდი/Bank Code: TBCBGE22

გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank: 05/09/2018

გადახდის დანიშნულება/Description: აუდიტორული დასკვნის მომზადების

ხელმოწერა/Signature:

დამატებითი ინფორმაცია/Additional Info: Information

შტამპი: "ს.ს. საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA" დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან PRINTED FROM INTERNET BANK

ხელმძღვანელის ხელმოწერა/Director Signature: ბეჭედი:

მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:

ვალუტირების თარიღი/Value Date: